ფინანსური ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში

მედეა ჭელიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
medach7@yahoo.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.041

მარინე თოფჩიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
marina.topchishvili@mail.ru

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ტექნოლოგიები, ფინანსური ორგანიზაცია, ფინტექი, საბანკო ტექნოლოგიები, ინოვაციური სტარტაპი

ინტერნეტ-ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება XX-XXI სს. მიჯნაზე დაიწყო. იმისათვის, რომ კომპანიებმა ბაზარზე ადგილი დაიმკვიდრონ და შეინარჩუნონ, სასიცოცხლოდ აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღება. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში ინოვაციურობა ნებისმიერი კომპანიისათვის განვითარებისა და წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

დღესდღეობით ბიზნესი და ტექნოლოგიური ინოვაციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და, ამდენად, ბიზნესის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის საჭიროება სწრაფად იზრდება.

ტექნოლოგიების განვითარებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ფინანსურ სექტორზეც. ფინანსური ტექნოლოგიები, ანუ ფინტექი გულისხმობს ფინანსური მომსახურების სფეროში ტექნოლოგიებისა და ბიზნეს მოდელების გამოყენებას. დღეს კომპანიები, რომლებიც უახლეს ტექნოლოგიებს იყენებენ, მომხმარებლებს უფრო ეფექტურ ფინანსურ სერვისებს სთავაზობენ. ერთ-ერთმა პირველმა სწორედ საფინანსო ინდუსტრიამ გაითავისა ტექნოლოგიების სარგებელი და უპირატესობა.

თანამედროვე მსოფლიო მასშტაბით ფინტექი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელმაც მთლიანად შეცვალა ფულის მართვის საშუალებები. აღსანიშნავია, რომ მან მოძრაობაში მოიყვანა ბანკები და საბანკო-საფინანსო მომსახურება უფრო იოლი და ხელმისაწვდომი გახადა.

ბოლო მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა უფრო გაართულა ბიზნეს სექტორის დაფინანსების პროცესი. ამ ფონზე, ფინტექის გამოყენების მეშვეობით, საფინანსო სექტორი ხასიათდებოდა სხვადასხვა უპირატესობებით, ინოვაციური გზების ძიებით, ბიზნესის ზრდის შესაძლებლობებით, საკრედიტო რისკების შეფასებისა და ბიზნესის დაკრედიტების უზრუნველყოფის ალტერნატიული გზებით. (აბულაძე რ. 2016.)

დღეს, ფინანსური კომპანიები წარმატებისთვის იყენებენ ინტერნეტ-ტექნოლოგიებს, სიცოცხლისუნარიან ბიზნეს-მოდელებსა და გრძელვადიან ციფრულ სტრატეგიებს. ინოვაციური ფინანსური ონლაინ პლატფორმები მომხმარებლებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ საკრედიტო რესურსებზე წვდომა საბრუნავი საშუალებების შესავსებად, აწარმოონ გადარიცხვები და სხვა ფინანსური მომსახურება.

მსოფლიოში საფინანსო მომსახურების სექტორი ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს ფართო სპექტრის ბიზნეს ორგანიზაციებს, კომერციული ბანკებს, საკრედიტო კომპანიებს, საბროკერო და სადაზღვევო კომპანიებს და სხვა. ბოლო პერიოდში, ფინტექმა ციფრულ ეკოსისტემაში კლასიკური საბანკო სისტემის გადატვირთვა გამოწვია.

ფინტექი გამოირჩევა შემდეგი თვისებებით: იგი არის ტექნოლოგიური ინოვაცია და ხასიათდება სისწრაფით, სიმარტივით, მოქნილობით და კომფორტულობით, რაც გავლენას ახდენს ფინანსური სერვისის ზრდა-განვითარებაზე; მისი მეშვეობით ოფისიდან გაუსვლელად შესაძლებელია ფინანსურ რესურსებზე წვდომა და მათი მართვა.

აღსანიშნავია, რომ ფინტექის ძირითადი ბენეფიციარები მცირე და საშუალო ბიზნესია. მისი ბაზარი მოიცავს დაკრედიტებას, ვაჭრობას, საფინანსო სფეროს ელექტრონულ კომერციას, საფინანსო სფეროს ონლაინ ვაჭრობას, საფინანსო სფეროს ონლაინ მიწოდების ქსელის მართვას.

როგორც ცნობილია, ბანკები და ფინანსური ორგანიზაციები დიდი ხნის მანძილზე გამოირჩეოდნენ თავიანთი კონსერვატიული მიდგომებით. შედეგად ბევრი მათგანი კარგავდა კონკურენტუნარიანობას ბაზარზე ახალი მოთამაშეების გამოჩენისას, რომლებიც იყენებდნენ თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებს. სპეციალისტების აზრით, უახლოეს 10 წლის მანძილზე ფინანსური მომსახურების სფეროში დასაქმებული დაახლოებით 800 ათასი ადამიანი დაკარგავს სამსახურს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად. თუმცა, თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი შეუქცევადი და აუცილებელია. (Sorkin Andrew R. 2016.)

უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში საფინანსო ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. ბანკებისთვის აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა შეიძლება გახდეს საკრედიტო ორგანიზაციების შერწყმა ფინტექ-სტარტაპებთან. მსგავსი კავშირის მაგალითია უმსხვილესი საბანკო ჰოლდინგის JPMorgan Chase-სა

და მცირე კომპანიებზე ონლაინ სესხების გამცემ პლატფორმა ONDeck-ს შორის პარტნიორული შეთანხმება ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე. (Sorkin Andrew R. 2016.)

თანამედროვე ბანკები შესამჩნევად განსხვავდებიან თავის წინამორბედი ბანკებისგან. დღეს, ბანკები იმყოფებიან ციფრული ინოვაციების ცენტრში. ისინი განიხილავენ ელექტრონული კომერციის ბიზნეს-მოდელებს, მომხმარებელს სთავაზობენ ინოვაციურ პროდუქტებსა და მომსახურებას, მონაწილეობენ ფინტექის პარტნიორულ ურთიერთობებსა და ინოვაციური სტარტაპების დაფინანსებაში, ხელს უწყობენ ციფრული ბაზრის განვითარებას, სამართლიანი კონკურენტუნარიანი სივრცის ფორმირებას, ინტერნეტ-მოხმარებლების უფლებების დაცვას, ნდობისა და კიბერუსაფრთხოების ზრდას.

მეტი ინოვაცია საბოლოოდ ნიშნავს მეტ ეფექტურ, ახალ პროდუტს და სერვისს, რომელიც უკეთესად პასუხობს მომხმარებელთა მოთხოვნებს, ამარტივებს და უფრო კომფორტულს ხდის ადამიანების ურთიერთობას ბანკთან. ინოვაციები ასევე ხელს უწყობს კომპანიას გააიაფოს და მეტად ხელმისაწვდომი გახადოს უკვე არსებული სერვისები. (თიბისი ბანკი მეტი ინოვაციის ძიებაში. 2016.)

საქართველოში მოღვაწე კომპანიები და სახელმწიფო სტრუქტურები განვითარების იმ ეტაპზე იმყოფებიან, როდესაც აუცილებელი ხდება უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა და არსებულის გაფართოება. ამ პროცესში მენეჯმენტი მრავალი რთული ამოცანის წინაშე დგას: საჭიროა სწორი სტრატეგიის დასახვა, სწორი სისტემების შერჩევა, ინვესტიციების მოზიდვა, მათი ეფექტიანი დაბანდება, ახალი სისტემების დანერგვის პროექტების მართვა და ა.შ. (კაკულია ე., თოფჩიშვილი მ. 2017.)

საქართველოში, ქუიქ ქეში (QuickCash) არის პირველი ქართული ინოვაციური მაღალ ტექნოლოგიური (ფინტექ) პლატფორმა, რომელიც 5 წუთში ონლაინ აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტუნარიანობას. QuickCash სთავაზობს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს, ონლაინ პლატფორმის საშუალებით ფინანსური და რისკიანობის შეფასების გავლის შემდეგ, ბიზნეს საკრედიტო ხაზს. (ბიზნეს კრედიტუნარიანობის შეფასების ინოვაციური პლატფორმა. 2018.)

2017 წლის 16 მაისს თბილისში, სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში გაიმართა ფინანსური ტექნოლოგიების პირველი კონფერენცია, რომლის მიზანი იყო საქართველოში ფინტექის პოპულარიზაცია და საბანკო-საფინანსო მომსახურების უფრო მეტად გამარტივება. ღონისძიება საქართველოს ონლაინ არასაბანკო საკრედიტო ასოციაციისა და საქართველოს ბიზნესასოციაციის ორგანიზებით მოეწყო.

კონფერენციაზე განხილულ იქნა ზოგადად ფინანსური ტექნოლოგიების არსი და მნიშვნელობა, ასევე მისი განვითარების დონე და აუცილებლობა საქართველოში. წარმოდგენილ იქნა ახალი პროექტები, რომელთა განხორციელებაც საქართველოში საბანკო სექტორს კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის. რაც მეტია ინოვაცია, მით მეტად ეფექტურია სერვისი, რომელიც უკეთესად პასუხობს მომხმარებელთა მოთხოვნებს, ამარტივებს და უფრო კომფორტულს ხდის კლიენტების ურთიერთობას ბანკთან. (თიბისი ბანკი მეტი ინოვაციის ძიებაში. 2016.)

აღსანიშნავია, რომ ქართული საბანკო სექტორი, ერთერთი მოწინავე სექტორია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ათვისების პროცესში, რაც გამოიხატება დისტანციური საბანკო მომსახურების არხების განვითარებით, თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიებში ინვესტირებით, მრავალფეროვანი საბანკო პროდუქტების და მომსახურების წარდგენით, უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სამომხმარებლო სერვისებით, სისტემებითა და პროცესებით, უსაფრთხოებითა და მოქნილობით. (მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ. 2017.)

საქართველოში ბანკები აქტიურად განაგრძობენ ახალ, ინოვაციურ პროდუქტებში ინვესტირებას და, იმედია, ახლო მომავალში ბევრ საინტერესო სიახლეს შესთავაზებენ მომხმარებლებს. ამასთან ერთად, ისინი მუდმივად ეძებენ ახალ პარტნიორებს და კომპანიებს სტრატეგიული თანამშრომლობისთვის, რაც მნიშვნელოვან დადებით ეფექტს იქონიებს ბანკსა და მის კლიენტებზე.

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური ტექნოლოგიების შემდგომი დანერგვა და მუდმივი განვითარება. ცნობილია, რომ მსოფლიოში არსებობენ ბანკები, რომლებიც მთლიანად ონლაინ რეჟიმში მუშაობენ. იმისათვის, რომ შევძლოთ მათთან თანამშრომლობა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, საჭიროა ფეხი ავუწყოთ ამ მიმართულებით მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე რ. (2016). ტექნოლოგიები ფინანსებში — მსოფლიოს მიღწევები და საქართველოს პერსპექტივები. http://commersant.ge/?view=post&id=73718&lang_id=ge
2. ბიზნეს კრედიტუნარიანობის შეფასების ინოვაციური პლატფორმა. (2018). ფინანსური ტექნოლოგიები და ბიზნესი. https://qcash.ge/?page=article&artid=3
3. თიბისი ბანკი მეტი ინოვაციის ძიებაში. 2016. ჟ. Forbes Georgia. http://forbes.ge/news/1569/TBC-banki-meti-inovaciis-ZiebaSi
4. კაკულია ე., თოფჩიშვილი მ. (2017). თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიები და მარკეტინგული გადაწყვეტილებები. მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „განვითარების ეკონომიკა და ინოვაციები: გამოწვევები, გადაწყვეტის გზები." კონფერენციის მასალების კრებული. გვ. 72-75.
5. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ. 2017. ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები. სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „დანი". 461 გვ.
6. ციფრული ევოლუცია ფინანსურ სექტორში: ფინტექი. (2016). ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი: ტ. IX, №2.
7. Sorkin Andrew R. (2016). Fintech Firms Are Taking On the Big Banks, but Can They Win? The New York Times. http://www.nytimes.com/2016/04/07/business/dealbook/fintech-firms-are-taking-on-the-big-banks-but-can-they-win.html?_r2

THE ROLE OF FINANCIAL TECHNOLOGIES IN THE DEVELOPMENT OF THE BANKING SECTOR

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.041

MEDEA CHELIDZE
PhD in Economics, Associate Professor,
Georgian Technical University, Georgia
medach7@yahoo.com

MARINE TOPCHISHVILI
PhD in Business Administration, Assistent Professor,
Georgian Technical University, Georgia
marina.topchishvili@mail.ru

KEYWORDS: FINANCIAL TECHNOLOGIES, FINANCIAL ORGANIZATION, FINTECH, BANKING TECHNOLOGIES, INNOVATIVE START-UP.

SUMMARY

The development of technologies have had a huge impact on the financial sector. The term "Fintech" has emerged by merging finance and technology, which implies start-ups that use advanced technologies in financial services. On the one hand, advanced technologies facilitate and simplify the implementation of various operations and activities, but, on the other hand, pose a real threat to the conservative banking sector.

The main goal of the introduction and development of financial technologies in the banking sector is to save time, accuracy and high quality of protection.

As in the whole world, today Fintech is successfully developing in Georgia. It helps to attract investments and makes banking services more accessible, comfortable and flexible.

The purpose of the study is to determine the role and importance of financial technologies in the development of the banking sector. The theoretical basis of the research is the experience of Georgia and foreign countries, theories and proposals of scientists-economists and practitioners.

The article discusses the importance of introducing financial technologies to improve the competitiveness of banks, as well as the prospects for the development of the banking sector in the context of modern financial technologies.